პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 30 (11034) | ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ხალხი ახორციელებს თავის დიად უფლებას. — **დ. პაიჭაძე.** — ბედნიერი ოჯახი ხმას მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას... მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა. — **კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.** — ამხანაგების მ. ა. მეგრელიშვილის, გ. ი. ჩოგოვაძის, კ. ი. ბარიგიანის, ს. ა. [illegible] ძის, ნ. ვ. ჯიბლაძის, [illegible] სეროვისა და ბ. ს. ბუკიას სიტყვები (მე-2 და მე-3 გვერდი).

ა. ჩავლეიშვილი. — სამგორის ველზე (მე-3 გვერდი).

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია (მე-4 გვერდი).

ხალხი ახორციელებს თავის დიად უფლებას

★ ★ ★ ★ ★

ბედნიერი ოჯახი ხმას მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას...

ვინ იფიქრებდა წინათ, რომ ქობულეთის რაიონის მიუვალი მთიანი სოფლის — ვარჯანაულის მკვიდრის მურად მოწყობილის ოჯახს ასეთი ბედნიერი მომავალი ექნებოდა...

ძველი ვარჯანაული საცალფეზო ბილიკით ძლივს უკავშირდებოდა ქობულეთს. ბევრი ვარჯანაულელი იხე მოკვდებოდა, რომ ბათუმსაც ვერ ნახავდა. მთელ დროს მურადი მძიმე, წელში გამწყვეტ, უმადლო და უბარაქო შრომას ანდომებდა, მაგრამ მისი ოჯახი მაინც შიმშილობდა.

ოქტომბრის ძლევამოსილი მზე ვარჯანაულშიც ამობრწყინდა. გადიოდა წლები. გლეხებს მთავრობამ წინადადება მისცა რაიონის დაბლობ სოფლებში ჩამოსახლებულიყვნენ, თანაც ყოველმხრივი დახმარება გაუწია მათ. 1937 წელს მურადი თანასოფლელებთან ერთად ვარჯანაულიდან სოფელ ხუცუბანში ჩამოსახლდა. მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია.

ცხრა შვილი დარჩა მურادს. ისინი თავიდანვე დიდ შრომისმოყვარეობას იჩენდნენ, განსაკუთრებული სიბეჯითით გამოირჩეოდა უმცროსი ვაჟი — თევრათი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა — 17 წლისა იყო, როცა 1940 წელს კოლმეურნეობის ბრიგადირად დაწინაურეს. თევრათი და მისი ძმები დაუღალავად შრომობდნენ კოლმეურნეობაში. ობლად დარჩენილი ოჯახი წელში იმართებოდა. ვარჯანაულიდან ჩამოტანილი სახლი მოწყობილებს აღარ აკმაყოფილებდათ და ახალი ორსართულიანი სახლი აიშენეს.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი... ხუთი ძმიდან ორი — რიზა და ნური ფრონტზე დაეცნენ. მოწყობილების ფესვმაგარი ოჯახი კი მაინც იდგა როგორც მუხა, იდგა და წელს იმაგრებდა საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობაში შრომა კი დღითიდღე მაღალფასოვანი ხდებოდა. ამ წლებში კოლმეურნეობის შემოსავალი 5-7 მილიონამდე გაიზარდა, შარშან 8,7 მილიონს გადააჭარბა.

თევრათის ბრიგადა ყოველთვის მოწინავეა, განუწყვეტლივ ზრდის საკოლმეურნეო ხვავსა და ბარაქას. გასულ წელს მისმა ოჯახმა 1.004 შრომადღე გამოიმუშავა, რაზეც პრემია-წანამატის ჩათვლით ფულად მიიღებს 36 ათასამდე მანეთს, ხოლო ნატურით — ერთ ტონაზე მეტ სიმინდსა და დასაქონლების სახით — ტონნით ხორბალს. ოჯახს დღემდე ავანსად მიღებული აქვს 24 ათასი მანეთი.

უხვი მოსავლის მიღებისათვის თევრათმა არაერთი ჯილდო დაიმსახურა. მას მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი, მედლები.

თევრათის ოჯახში ყველა შრომისმოყვარეა. მეუღლე თუნთული, რომელიც ამჟამად სამი შვილის დედაა, შრომაში როდი ჩამორჩება ქმარს. იგი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატია. 1948 წელს ნახევარ ჰექტარზე 6.272 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთლის მოყვანისა და მოკრეფისათვის მას 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. მას შემდეგ არაერთხელ მიუღია ბარაქიანი მოსავალი. შარშან ტრანშეის წესით გაშენებულ ნახევარ ჰექტარზე 3.006 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 კილოგრამისა, რაშიც მარტო პრემიის სახით 5 ათას მანეთზე მეტს მიიღებს.

თავდადებულმა შრომამ ხვავითა და ბარაქით აავსო თევრათის ოჯახი. თევრათმა ახალი სამსართულიანი სახლი აიშენა და ძვირფასი ავეჯით მორთო.

— სწორედ ასეთი სახლი შეჰფერის ჩვენს ცხოვრებას, სოციალისტურ ეპოქას, კომუნიზმის მშენებელ ადამიანს. სასიხარულო, ბედნიერ ცხოვრებას ვუმადლი ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, — ამბობს თევრათი.

სოფელს დღისით და ღამით ელექტროენერგიას აწვდის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური „კინკიშპესი", რომელიც ხუცუბნის მახლობლად ამ რამდენიმე წლის წინათ აშენდა. ეს კომუნიზმის დიადი შუქია, რომლითაც გაბრწყინებულია კოლმეურნეთა ათასობით ოჯახი...

ამ მშვენიერ თანამედროვე ოჯახს უმაგალითო ქართული სტუმართმოყვარეობა ახასიათებს. თევრათის ოჯახში ხშირად ნახავთ ძვირფას სტუმრებს — საბჭოთა და უცხოეთის დელეგაციების წევრებს. ყველანი კმაყოფილნი ბრუნდებიან აქედან.

თევრათის ეზო ბაღნარია, სადაც გაშენებულია ციტრუსები, ხეხილი, ვენახი. საკარმიდამო ბაღი ყოველწლიურად 14-20 ათას მანეთ შემოსავალს იძლევა.

ბედნიერია თევრათის დედა ფერიდე, რომელსაც 14 შვილი ჰყავს. მის მკერდზე „გმირი დედის" ოქროს ვარსკვლავი ბრწყინავს. ჩვენს ქვეყანაში საამაყოა, სპატიოა ეს ძვირფასი სახელი — დედა...

ასე შეძლებული, კულტურული და საამური გახადა თევრათ მოწყობილის ცხოვრება ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ. და განა მარტო თევრათის ოჯახი საბჭოთა კონსტიტუციის მზისქვეშ მისებრ გმირულად შრომობს და საამურად ცხოვრობს ასობით ხუცუბნელი, მათ შორის არიან ბრიგადირები შ. შაქარიშვილი და ჯ. თამაზაშვილი, კოლმეურნეები შ. მოწყობილი, მ. კიკაციშვილი, რ. ბერიძე, შ. ვასაძე... ხუცუბანს, ისევე როგორც ბობოყვათს, გმირთა სოფელს ეძახიან. აქ სოციალისტური შრომის ათი გმირია. მათგან ერთ ოჯახში — ცნობილი მეჩაიეს ასმათ ყიფავაძის ოჯახში სამი გმირი აღიზარდა.

ბედნიერია შრომისმოყვარე თევრათ მოწყობილის ოჯახი. ტყუილად კი არ ამბობენ ამ ოჯახზე, მოწყობილის ოჯახი მართლაც მოწყობილიაო. საღამოობით, როცა სოფელს ბინდი შემოეპარება და კოლმეურნეთა ლამაზ სახლებში ილიჩის ნათურები აკაშკაშდება, ყოველი მხრიდან მოისმის შრომაში გამარჯვებული ხუცუბნელების სიმღერა. ეს საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების, მისი ძალისა და ძლიერების, საბჭოთა კონსტიტუციის დიადი პრინციპების ზეიმია...

შრომამ, საბჭოთა კონსტიტუციაში ჩაწერილმა შრომის დიადმა უფლებამ აამაღლა თევრათ მოწყობილის ოჯახი. იგი 16 მარტს მილიონობით ბედნიერ ოჯახთან ერთად იტყვის:

— მე ხმას ვაძლევ ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას!

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: თევრათ მოწყობილი ცოლ-შვილით თავის ოჯახში.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

თბილისი

დამთავრდა სამუშაო დღე. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები ხალისით შეიკრიბნენ მექანიკურ საამქროში წინასაარჩევნო კრებაზე, რათა საუკეთესოთა შორის საუკეთესოები თავიანთ კანდიდატებად დასახელონ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი ლ. აივაზოვი. იგი ლაპარაკობს იმ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებზე, რომლებიც კომუნიზმის მშენებელმა საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა ამხ. აივაზოვმა, — ჩვენი ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

ექსპერიმენტალური საამქროს მოწინავე ზეინკალმა შ. ომანიძემ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ პავლეს-ძე მეფანაძე.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ტექნიკური განყოფილების უფროსმა ს. ჯანფოლადოვმა, ამწყობი საამქროს ზეინკლებმა ჯ. რუხაძემ და მ. ბელენკოვ, საამქროს უფროსმა შ. თევზაძემ, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. პ. მეფანაძის დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 654 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი** და **ვ. პ. მეფანაძე.**

* * *

4 თებერვალს გაიმართა თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს" წევრთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი. კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი აბოიანცმა.

სიტყვა აიღო კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა აგრონომმა ვენერა როინიშვილმა, რომელმაც თქვა:

— 16 მარტს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა სახელით კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის კალინინის № 655 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მიხეილ ალექსანდრეს-ძე სუსლოვი.**

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა ს. აბუაშვილმა, გ. გოგიძემ.

შემდეგ წინადადებისათვის სიტყვას იღებს გლდანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, კოლმეურნეობის აგიტატორი თ. დოლიძე, რომელმაც თქვა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის კალინინის № 655 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილს.**

სურათზე: თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები ულიცავენ ხარატ ა. მარგველაშვილს (მარცხნივ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას.

★

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი კოლმეურნეებმა ა. ქონიაშვილმა, ნ. ღოლაძემ, ნ. მახაჭაშვილმა.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს" წევრთა სახელით გამოთქმულია თხოვნა მ. ა. სუსლოვისა და გ. დ. ჯავახიშვილისადმი დათანხმდნენ კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის კალინინის № 655 საარჩევნო ოლქში.

აფხაზეთის ასსრ

მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები აფხაზეთის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში. ამ კრებებზე მშრომელები დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ღირსეულ ადამიანებს.

გაიმართა სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი. სიტყვას იღებს 1-ლი საამქროს მუშა შ. დგებია. მან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ წინადადებას.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კვერსელავამ და 1-ლი საამქროს ოსტატმა ნ. ვარიუშიჩევმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნ. ს. ხრუშჩოვის დასახელების შესახებ.

მეფეხსაცმელეთა კოლექტივის კრებაზე საძირის გამომჭრელი საამქროს ზეინკალ-მექანიკოსმა საბჭოთა კავშირის გმირმა ბ. ბაბოშინმა კომბინატის კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მიხეილ თემურის-ძე ბღაჟბა.

კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა წამოყენებულ იქნან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სოხუმის № 658 საარჩევნო ოლქში ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი** და **მ. თ. ბღაჟბა.**

ამხ. ხრუშჩოვისა და ბღაჟბას კანდიდატურები დასახელებულ იქნა აგრეთვე გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის" კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

ხალხმრავალი იყო სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. ქარხნის მოწინავეებმა დ. კოლტუნმა, ვ. ბიგვავამ, მ. არამიანმა და სხვებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სოხუმის ლენინის № 379 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი** და სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ელექტრომავლის მემანქანე **ალექსი კამუგის-ძე გუბაზი.**

კ. ე. ვოროშილოვისა და ა. კ. გუბაზის კანდიდატურები წამოყენებულ იქნა აგრეთვე სოხუმის თევზის კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე.

მოკლედ

⊙ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ინდოეთის რესპუბლიკის მერვე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მილოცვის პასუხად გულთბილი დეპეშა გამოგზავნა.

⊙ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ასეთივე შინაარსის დეპეშა გამოგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის მილოცვის პასუხად.

⊙ ამ დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა მოსკოვის XIII საოლქო პარტიული კონფერენცია. ახალ არჩეული საოლქო კომიტეტის პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი.

⊙ ორ დღეს მიმდინარეობდა მოსკოვში კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, რომელმაც 1 თებერვალს დაამთავრა მუშაობა. პლენუმზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას კულტურის მუშაკთა პროფკავშირის II ყრილობა 1958 წლის 21 მაისს.

⊙ პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე „საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხის შესახებ".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 1 თებერვალს წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს. აღნიშნავს რა პრეზიდენტის მზადყოფნას შეხვდეს მოლაპარაკებისათვის საბჭოთა ხელმძღვანელებსა და სხვა სათანადო დაინტერესებულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, ნ. ა. ბულგანინი კვლავ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებაა განხილულ იქნას თათბირზე ისეთი საკითხები, როგორიც არის: გადაუდებლად შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვან ატომგულის იარაღის გამოყენებაზე, შეიქმნას ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, დაიდოს თავდაუსხმელობის შეთანხმება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის, შემცირდეს გერმანიის ტერიტორიაზე და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი უცხოეთის ჯარების რიცხვი, შემუშავდეს შეთანხმება უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, შემუშავდეს ღონისძიებანი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად, შეწყდეს ომის პროპაგანდა, დაისახოს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შენელების გზები.

გარდა ამისა, შეიძლებოდა თათბირს განეხილა როგორც ეს აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის 8 იანვრის წინადადებებში, აგრეთვე სხვა კონსტრუქციული წინადადებანი „ცივი ომის" შეწყვეტის უზრუნველსაყოფად, რომლებიც შესაძლოა შეიტანონ თათბირის სხვა მონაწილეებმა. ცხადია, იმის შესახებ, რომ ასეთ წინადადებათა განხილვა საჭიროა, უნდა იყოს ყველა მონაწილის ერთსულოვანი აზრი.

რაც შეეხება ისეთ საკითხებს, რომელთა ურთიერთ მისაღები გადაწყვეტის იმედისათვის ამჟამად ნაკლები საფუძველია, თათბირზე შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ, თუ რა წესით განიხილონ ეს საკითხები სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე.

წერილში აღნიშნულია, რომ საჭიროა გადაუდებლად შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, და ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეწყვიტოს ასეთი იარაღის გამოცდა, თუ სხვა სახელმწიფოები თანახმა არიან აგრეთვე შეწყვიტონ ეს გამოცდა.

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რომლებიც შეტანილია სახელმწიფოთა განსახილველად, ხაზგასმულია წერილში, მიზნად ისახავენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას და სავსებით შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას, დაეხმარება მას გახდეს მშვიდობის საქმის სადარაჯოზე მდგომი ნამდვილად ეფექტიანი ორგანო.

ეხება რა გერმანიაში რეალური ვითარების საკითხებს, ნ. ა. ბულგანინი აღნიშნავს, რომ გერმანიის გაერთიანება არ შეიძლება განხორციელდეს, თუ არ მოხდა დაახლოება და შეთანხმება ორ სუვერენულ გერმანულ სახელმწიფოს შორის.

რაც შეეხება უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადებას, აღნიშნავს ნ. ა. ბულგანინი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება ასეთი თათბირის მოწყობის შესახებ, ამ შეთანხმების პრაქტიკული განხორციელების პროცედურული და სხვა საკითხები, ჩვენი აზრით, შეიძლება გადაიჭრას ისე, რომ ამან განსაკუთრებული შრომა არ მოითხოვოს. ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივი დიპლომატიური წესით.

დღევანდელი ისტორიული მომენტი, ნათქვამია წერილის დასასრულს, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ჩვენ ყველანი განვიმსჭვალოთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით და უკუვაგდოთ ყოველივე მეორეხარისხოვანი და ყველა ის წინაზრახვა, რომელიც ხშირად უშლის ხელს წარმატებითს მუშაობას მშვიდობის განმტკიცებისათვის. (საკ. სეს.).

კიროვაკანის მშრომელთა დელეგაცია ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). 4 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქალაქს პირველად ეწვივნენ კიროვაკანელი მანქანათმშენებლები. მაშინ ჩაეყარა საფუძველი კიროვაკანელი და ბათუმელი მანქანათმშენებლების მეგობრობასა და სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ ორი საწარმოს მეგობრობა მალე ისე გაფართოვდა, რომ მან მოიცვა რამდენიმე საწარმო, ხოლო 1957 წლის გაზაფხულზე გადაიზარდა ორი ქალაქის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სურათზე: კიროვაკანის მშრომელთა დელეგაცია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

ამ პერიოდში დამეგობრდნენ და შეჯიბრებაში ჩაებნენ კიროვაკანელი და ბათუმელი რკინიგზელები, ქიმიკოსები და მენავთობეები, მკერავები და სხვა საწარმოთა კოლექტივები. შარშან ორმა ქალაქმა გაცვალა მშრომელთა დელეგაციები. მათ ბევრი რამ სასარგებლო გაუზიარეს ერთმანეთს, რაც შემდეგ გამოიყენეს თავიანთ საწარმოებში. გულთბილი მეგობრობის არაერთი საღამო მოეწყო ურთიერთ პატივსაცემად.

გასული წლის აგვისტოში ბათუმის მშრომელთა დელეგაციამ, რომელსაც ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. უკლება ხელმძღვანელობდა, დაბრუნებისას გულთბილად დაპატიჟა კიროვაკანელი მეგობრები.

ამ დღეებში კიროვაკანელები ჰეგობრული ვიზიტით ეწვივნენ ბათუმს. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ზ. ოსეპიანი, ქიმკომბინატის მთავარი ინჟინერი ლ. ახნაზაროვი, ცხვრის ქურქის ფაბრიკის დირექტორი ს. პეტროსიანი, № 7 სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი ლ. სიმონიანი და სხვ., სულ 9 კაცი.

ბათუმელებმა სტუმრებს გულითადი შეხვედრა მოუწყეს. კიროვაკანელებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, გაეცნენ საწარმოთა საქმიანობას, ხოლო შემდეგ მრეწველობის მოწინავეთა საქალაქო შეკრებაზე მოაწყეს გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შეჯამება, გამოცდილების გაზიარება და გააფორმეს ახალი ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე

ამხანაგებო! როგორც ცნობილია, სახელმწიფო კონტროლის ყოფილი სამინისტროს ნაცვლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა საბჭოთა კონტროლის კომისია. ეს საკონტროლო ორგანოსათვის სახელის უბრალო გადარქმევა კი არ არის, არამედ მთელი მისი მუშაობის შინაარსის ძირეული გარდაქმნაა.

ახლა კომისიამ უნდა იმუშაოს საკითხების უფრო ფართო წრეზე, მას მიეცა მეტი დამოუკიდებლობა საკითხების გადაჭრაში და მეტი უფლებები. მთელ თავის მუშაობას კომისია ახორციელებს მთავრობის სახელით და, რაც ყველაზე მთავარია, ეყრდნობა მშრომელთა ფართო აქტივს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით კომისიამ მუშაობაში ჩააბა 100-მდე კაცი — ძველი ბოლშევიკები, დემობილიზებული ოფიცრები, მუშები და მათი დახმარებით შეამოწმა საჩივრებისა და განცხადებების მსვლელობის მდგომარეობა ზოგიერთ სამინისტროში და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში. ამ შემოწმების შედეგები განხილულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.

გასული წლის ნოემბერში კომისიის მუშაკებმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატებთან ერთად შეამოწმეს ქალაქის საცხოვრებელი ფონდის, სკოლების, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მზადყოფნა ზამთრისათვის. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა კაცმა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ამ შემოწმებამ ფრიად დადებითი შედეგები მოგვცა.

ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ უნდა გავშალოთ ფართო და საინტერესო მუშაობა.

პარტია და მთავრობა ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ მოსახლეობის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ჩვენგან მოითხოვს, რომ ამ მიზნით ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი. ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ამ საწარმოში არ არის სახელმწიფოებრივი წესრიგი, არ სრულდება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები, სხვადასხვა უმართებულო გზით გეგმები სრულდება მხოლოდ ფულადი გამოხატულებით.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მთელი რიგი საწარმოები სარგებლობენ უკონტროლობითა და წაყრუებით სამინისტროსა და საქართველოს სარეწაო საბჭოს მხრივ, უგულებელყოფენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს, გვერდს უვლიან თავიანთ მოვალეობას და უშვებენ პროდუქციას მხოლოდ და მხოლოდ კომერციული მიზნით, დანიშნულებისამებრ არ ხარჯავენ გამოყოფილ საფონდო მასალებს, უკავშირდებიან სხვადასხვა საქმოსნებს, განზრახ ბერავენ ნორმებსა და შეფასებებს ნაწარმის ერთეულზე, აღრღვევენ ფასებსა და პროდუქციის რეალიზაციის დადგენილ წესებს.

ბევრი უმსგავსობა ხდება ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ხილ-კენკრის ღვინოების წარმოების საქმეში.

საანგარიშო მოხსენებაში სავსებით სამართლიანად იყო მითითებული, რომ საჭიროა მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

თბილისის წყალსადენის სამმართველოს საანგარიშო მონაცემები მოწმობენ, რომ წყლის საშუალო სადღეღამისო ხარჯვა, გარდა სამრეწველო, სარწყავი და სხვა დანიშნულებისა, შეადგენს 118,5 ლიტრს თვითეულ ადამიანზე. ეს საკმარისზე მეტია. მაშასადამე, წყალი ჩვენს ქალაქში ჭარბად უნდა იყოს. მაგრამ წყალსადენის ქსელის, განსაკუთრებით სახლების შიგნითა ქსელის, ცუდი მდგომარეობის გამო ბევრი წყალი უსარგებლოდ იღვრება.

თბილისის წყალსადენის სამმართველოს მუშაკები არავითარ პასუხს არ აგებდნენ სახლების შიგნითა ქსელის მდგომარეობისათვის, ზრუნავდნენ მხოლოდ იმაზე, რომ დროზე გადაეხდევინებინათ წყლის საფასური, სისტემატურად აკეთებდნენ მინაწერებს, ხელოვნურად ზრდიდნენ მომხმარებლებისათვის წყლის მიწოდების მაჩვენებლებს. ამასთან თბილისის წყალსადენის სამმართველომ მარტო 1957 წელს სამჯერ მიიღო გარდამავალი დროშა და მნიშვნელოვანი ჯილდოები. დამახასიათებელია, რომ ამავე მაჩვენებლების მიხედვით ჯილდო მიიღეს ტრესტ „თბილკანალიზაციის“ მუშაკებმა.

ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, თვითეული სახელმწიფო კაპიკისათვის, ომჩვირნეობის რეჟიმი თვითეული მშრომელის და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების მოვალეობაა.

ჩვენში ყველაფერი რიგზე როდია წიგნების გამოცემის საქმეში. ჩვენი გამომცემლობები ზოგჯერ მკითხველს აწვდიან ისეთ ლიტერატურას, რომელიც ადგილს იკავებს მხოლოდ სავაჭრო ქსელის საწყობებში და წიგნის თაროებზე, არ იყიდება და შემდეგში ჩამოიწერება ხოლმე როგორც მაკულატურა.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯვის საკითხები.

მტკვრის ნოლის კარიერების ქვიშის ნაცვლად ჩოლაბაურის საბადოების ქვიშის გამოყენება იძლევა სულ ცოტა 7 პროცენტი ცემენტის ეკონომიას. მაგრამ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს ქვანახშირის ყოფილმა კომბინატმა, მიუხედავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგზის გამოტანილი დადგენილებისა, ვერ უზრუნველყვეს საკარიერო მეურნეობის ორგანიზაცია ჩოლაბაურის საბადოებზე.

ყველა ჩვენი წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დასახული ღონისძიებების, ხელმძღვანელი და ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული თვითეული დადგენილების შესრულების უზრუნველყოფა. უამისოდ დიდი ზიანი მოსდის საერთო საქმეს.

საბჭოთა კონტროლის კომისია, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, გარდაქმნის რა თავის მუშაობას, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი იყო დამაჯერებელი ფაქტები და ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავ მიღწევებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ეს წარმატებები სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის შემდგომ ღონისძიებათა განხორციელების შედეგია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელიც ნახევარი წლის წინათ შეიქმნა, რესპუბლიკის მთელი მრეწველობის 80 პროცენტზე მეტს აერთიანებს. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე მოვიდნენ მუშაობაში მიღწეული ერთგვარი წარმატებებით. სახელმწიფო დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში გასულ წელს შესრულებულია 102,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 265 მილიონი მანეთის საქონელი. გადაჭარბებით შესრულდა დავალებანი შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში.

შემდეგ ამხ. ჩოგოვაძე აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მუშაობა 1957 წელს მიმდინარეობდა ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობის პირობებში, რამაც გამოიწვია მრეწველობის შესაძლებლობათა მნიშვნელოვანი შეზღუდვა. იგი აკრიტიკებს ჭიათურის მარგანეცის ტრესტსა და ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს წლიური გეგმის შესრულებას ნომენკლატურის დარგში და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს რესპუბლიკას.

ანალიზს უკეთებს რა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას, ორატორს მოჰყავს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ უყაირათობას, საწარმოო რეზერვების სწორად გამოყენების უნარის უქონლობას. საბრძმედ საამქროში აგლომერატის ვაგონებით გადატანა აძვირებს ტონა თუჯის თვითღირებულებას. ჯერ კიდევ დიდია მეორე კლასის მილების გამოსავლიანობის პროცენტი. ქარხანაში ხდება ფოლადის გამოშვება არა დაკვეთების მიხედვით. რაც სიძნელეებს უქმნის საგლინავ საამქროებს და იწვევს ლითონის დანიშნულების შეცვლას და უფრო იაფი პროდუქციისათვის განკუთვნას. საგლინავი წარმოების ნარჩენებს არ იყენებენ ფართო მოხმარების ზოგიერთი საგნის დასამზადებლად, რომლის რეალიზაციით შეიძლება საკმაოდ დიდი მოგების მიღება.

თავის სიტყვაში ამხ. ჩოგოვაძე აღნიშნავს ქარხნის ზარალიანობის მკვეთრი შემცირების გზებს. იგი ამბობს, რომ საწარმოს რენტაბელობის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მას შემდეგ, რაც შემცირდება ადგილობრივი ქვანახშირის კონცენტრატებისა და დაშქესანის მადნის ფასები.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, რენტაბელობის გადიდების შესაძლებლობანი ყველა საწარმოშია, მათ შორის იმ საწარმოებშიც, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი. იგი წელიწადში 22 მილიონამდე მანეთ სახელმწიფო დოტაციას იღებს. გასული წლის მეორე ნახევარში კომბინატმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა, გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმა და შინაარეზერვების მობილიზაციით მიაღწია ზარალიანობის შემცირებას 4 მილიონზე მეტი მანეთით.

ამჟამად, სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს დახმარებით, კომბინატის კოლექტივი ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც, უეჭველია, დიდი ეკონომიური ეფექტი მოჰყვება. ჩვენი ქვეყნის ქაღალდის მრეწველობის ისტორიაში პირველად დაიწყო მან მურყნის მერქნის გამოყენება ქაღალდის წარმოებისათვის. ეს ღონისძიება კომბინატის ზარალიანობას 1958 წელს შეამცირებს 3 მილიონზე მეტი მანეთით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებაში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ყუთის ტარის ნაკლებობა. ტარის განსაზღვრული რაოდენობით წარმოებისთვისაც კი ჩვენ ყოველწლიურად ვხარჯავთ 260 ათას კუბურ მეტრ მშვენიერ საშენ მერქანს, რომელიც ჩვენი ქვეყნის შორეული რაიონებიდან შემოგვაქვს. ამავე დროს რეალური შესაძლებლობა გვაქვს ტარის პროდუქციის ნაწილი ვაწარმოოთ მაღალხარისხოვანი მუყაოსაგან, რომელიც არათუ არ ჩამოუვარდება ხე-ტყის მასალებს. არამედ მათზე მნიშვნელოვნად უკეთესიც არის.

ამხანაგებო! საანგარიშო მოხსენებაში ამომწურავი სისრულით იყო ნაჩვენები რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული მეურნეობის მიღწევები და ნაკლოვანებანი, დასახულია ელექტრობალანსში შეუფარდებლობის ლიკვიდაციის გზა. ამაზე დაწვრილებით ილაპარაკა თავის სიტყვაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ქადაგიძემაც. მაგრამ მაინც ნებას მივცემ თავს ერთხელ კიდევ შევჩერდე ენერგეტიკის საკითხებზე.

საიდუმლოება როდია, რომ ჩვენ გვაქვს ელექტროენერგიის დეფიციტი, რის გამო გვიხდება საწარმოები ვიყოლიოთ ელექტროენერგიით მომარაგების იძულებითს გრაფიკზე, რაც, ბუნებრივია, მათი ნორმალური მუშაობის დარღვევას იწვევს.

თუ არ განვახორციელეთ ძირეული ღონისძიებანი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდული იქნება. ასეთი ღონისძიებების განხორციელება მით უფრო საჭიროა იმიტომ, რომ მძიმე მრეწველობა შემდგომ განვითარდება უმთავრესად ხელოვნური ბოჭკოს, ტყავის შემცვლელებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის მწარმოებელი ახალი ქიმიური ქარხნების მშენებლობის გზით. ქიმიური მრეწველობა კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყველაზე ენერგოტევადია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით საკავშირო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მინგეჩაურჰეს-თბილისის მეორე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ, რომლის ექსპლოატაცია 1958 წლის დამლევს უნდა დაიწყოს. რესპუბლიკა დამატებით მიიღებს 100-120 ათას კილოვატს, რაც დაგვეხმარება მნიშვნელოვნად შევანელოთ ელექტროენერგეტიკული ბალანსის დაძაბულობა. მაგრამ ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციისათვის ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. აუცილებლად საჭიროა განხორციელდეს სხვა ღონისძიებანი, დაჩქარდეს იმ ჰიდროელექტროსადგურების ამუშავება, რომლებიც უკვე შენდება, აგრეთვე 1958 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყოს ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო სპარეექტო-საძიებო სამუშაოთა ჩამორჩენას, რომელიც აგრეთვე უარყოფითს გავლენას ახდენს ენერგეტიკის განვითარებაზე. ჰიდრომშენებლობის პერსპექტიული ობიექტების დაპროექტება და ძიება ისე უნდა წარმოებდეს, რომ უახლოეს ორ წელიწადში გვქონდეს რამდენიმე მზა შემუშავებული პროექტი, რათა შეგვეძლოს შევარჩიოთ მშენებლობის პირველი რიგის ობიექტი, პირველ რიგში მდინარეებზე ენგურზე, რიონზე, მტკვარზე, ალაზანზე.

დასასრულ, ამხ. ჩოგოვაძე ამბობს, რომ საწარმოთა და მშენებლობათა წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სწორად დაყენება. გამოყოფილი მატერიალური რესურსების დაგეგმვისა და რეალიზაციის მოქმედი წესი კი ვერ უზრუნველყოფს საწარმოთა და მშენებლობათა შეუფერხებელ მუშაობას. საჭიროა, რომ მომდინარე წელს სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა და მისმა საგამსაღებლო მთავარმა სამმართველოებმა თავიანთ ხელში მოუყარონ თავი მატერიალურ რესურსებს.

ამხანაგებო! რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას. სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას, რომ თავისი თავდადებული შრომით იგი აუცილებლად შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამხ. კ. ი. ბარიგიანის სიტყვა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი

ამხანაგებო! საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, რომელიც ყოფილ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს აერთიანებს, 109 პროცენტით შეასრულა 1957 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა. სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა 1955 წელთან შედარებით. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული კომუნალური მეურნეობის დარგშიც.

მე მინდა დავაყენო რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

სამინისტროს საწარმოების მიერ ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების ხვედრითი წონა ძალიან დაბალია. ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ჩავაყენეთ საშობლოს სამსახურში ჩვენი ბუნებრივი რესურსები. ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში ჩვენი სამინისტროს საწარმოებში სულ 28 პროცენტს შეადგენს. დამახასიათებელია, რომ საშენი მასალების ხვედრითი წონა მთელი იმ პროდუქციის მიმართ, რომელსაც სამინისტროს საწარმოები უშვებენ, სულ 4,5 პროცენტს შეადგენს. ამასთან ერთად საშენი მასალების თვითღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. მთელ რიგ შემთხვევებში 1.000 ცალი აგურის დამზადება 600-700 მანეთი ჯდება.

ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში ძალიან ცუდად ინერგება მოწინავე გამოცდილება, ახალი ტექნიკა საშენი მასალების წარმოებაში. არსებობს ინჟინერ კარტავცევის ცნობილი მეთოდი. თუ ამ მეთოდით ვიმუშავებთ, შეიძლება საშრობი ფარდულის ერთ კვადრატულ მეტრზე სულ მცირე 3.000 ცალი აგური ავიღოთ. ჩვენში კი ფარდულის ერთ კვადრატულ მეტრზე 700-დან 1.000-მდე ცალ აგურს იღებენ.

ყველასათვის ცნობილია, საშენი ქვის რა უდიდესი მარაგი მოეპოვება ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონს. ამავე დროს კი ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მთელი სისტემა სულ 49 ათასი კუბური მეტრი ქვის მოპოვებას ახერხებს.

კომუნალური მეურნეობის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოგვიხდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყალსადენების მშენებლობას. ზოგჯერ ჩვენ წყალსადენს ვაშენებთ ისე, რომ სამსახურის გაანგარიშებულ ვადად 10 წელიწადს ვიღებთ, მაგრამ ისე ნელა ვაშენებთ, რომ გაანგარიშებული ვადა — 10 წელი — გადის, მშენებლობა კი გრძელდება. ბათუმში წყალსადენის მშენებლობა 1946-48 წლებში დაიწყო და დღემდე არ არის დამთავრებული.

ანალოგიური ფაქტებია მთელ რიგ სხვა ობიექტებზეც.

1958 წელს დასახულია ბევრი კომუნალური ნაგებობის მშენებლობა. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, თბილისის ჩაუთვლელად, ჩვენ უნდა ავაშენოთ სულ მცირე 30 საცხოვრებელი სახლი, ავაგოთ 13 წყალსადენი, 10 აბანო, 11 ნაგებობა აბანოებისათვის საჭირო წყლის მზით გასათბობად. ვფიქრობ, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საჭირო დახმარებას გაუწევენ სამინისტროს ამ პროგრამის განხორციელებაში.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა თავიანთი ყურადღება უნდა გაამახვილონ ყველა საწარმოს მუშაობის ხარისხზე. სამინისტროს 280 სამრეწველო საწარმო სხვადასხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფელ ადგილებშია. მათში ათასობით წვრილი საამქრო ითვლება. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ეს საამქრო ის ადგილები იყო, სადაც იმალებოდნენ და დღემდე იმალებიან კერძო მეწარმეები. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ საწარმოთა ასეთი დაქუცმაცებულობა, განვახორციელოთ ამ საამქროების გამსხვილება და სპეციალიზაცია, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ ვაწარმოოთ ბრძოლა კერძო მეწარმეობასთან, აგრეთვე მფლანგველობასა და დატაცებასთან.

ადგილობრივი მეურნეობის მუშაკთა კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები. მე მინდა პირობა მივცე ყრილობას ადგილობრივი მეურნეობის მუშაკთა 25 ათასიანი კოლექტივის სახელით, რომ ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კომუნალური მომსახურება, ავამაღლოთ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის დონე.

ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის სიტყვა

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი

ვაჯამებთ რა სამინისტროს 1957 წლის მუშაობის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ზოგიერთ წარმატებას მივაღწიეთ. გეგმით გათვალისწინებული 522 მილიონი მანეთის ნაცვლად შესრულებულია 565 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები ათვისებულია 105,6 პროცენტით.

მაგრამ საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 90 პროცენტით. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი ტრესტის ხელმძღვანელობამ დროულად ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ საბინაო მშენებლობის დარგში დაგვისახეს, ხოლო სამინისტრომ დაგვიანებით მიიღო ღონისძიებანი ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნამ, რაც 1957 წელს განხორციელდა, საგრძნობი შედეგები მოგვცა ჩვენი სამინისტროს მუშაობაშიც. მაგალითად, თუ სამინისტროს სისტემაში 1956 წელს გაერთიანებამდე შემავალმა ყველა ორგანიზაციამ სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა სულ 525 მილიონი მანეთისა შეასრულა, გაერთიანების შემდეგ 1957 წელს ეს სამუშაოები შეასრულა უკვე 565 მილიონი მანეთისა.

ცნობილია, რომ მშენებლობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი ტექნიკის, მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვა და პროგრესულ სახეობათა საშენი მასალების გამოყენება. ჩვენში კი არ არის ინდუსტრიული ბაზები, რომლებსაც შეეძლოთ უზრუნველყონ მშენებლობის საჭიროებანი. ისინი მხოლოდ ახლა იქმნება. სამინისტრომ შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ მიეღო უჯრედოვანი ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მოწყობილობის კომპლექტი. ამ ქარხნის წარმადობა წელიწადში 30 ათასი კუბმეტრი ნაწარმი იქნება. წარმოებს მუშაობა ქუთაისში ხისდამუშავებელი ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის. სოხუმსა და ბათუმში წარმოებს ტრესტების საკუთარი ბაზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. სამინისტრომ დასახა განახორციელოს მუშაობა ყველა თავის საწარმოში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის. ეს შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა.

ამხ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს იმ მეთოდებზე, რომლებსაც სამინისტრო იყენებს ხე-ტყის ხარჯვის შესამცირებლად, ეხება მსხვილი ბლოკებით მშენებლობას.

საბინაო მშენებლობის წარმატება, განაგრძობს იგი, ბევრად არის დამოკიდებული პროექტების ხარისხზე. მშენებლობისათვის 1958 წელს მომზადებული პროექტები მნიშვნელოვნად უფრო ეკონომიურია იმ პროექტებზე, რომლებსაც წინათ იყენებდნენ. სამინისტრო შეეცდება კიდევ უფრო სრულყოს ისინი. ტიპური დაპროექტების დარგში მუშაობამ დაგვაწყმუნა, რომ ძნელია შევქმნათ მაღალხარისხოვანი პროექტები, თუ ჯეროვანი ექსპერიმენტული მშენებლობა არ ვაწარმოეთ. ამიტომ სამინისტრომ გადაწყვიტა 1958 წელს ქ. რუსთავში დაიწყოს 7 სახლის საცდელი მშენებლობა. თვითეულ მათგანს თავისი ორიგინალური გადაწყვეტა ექნება.

შემდეგ ამხ. ლორთქიფანიძე ეხება დაგეგმვის საკითხებს და უპასუხებს სამინისტროს მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე.

ყრილობაზე, ამბობს იგი, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის მდივანმა ამხ. ტულჩინმა სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენი სამინისტრო ცუდი მუშაობისათვის. ამ რაიონში ჩვენ მოვახდინეთ დოკუმენტალური რევიზია, რომლის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა დიდი ბოროტმოქმედებანი. სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელები მოხსნილი არიან სამუშაოდან და მიცემული არიან სამართალში.

აქ ყრილობაზე სამინისტროს წაუყენეს პრეტენზიები, რომ იგი ცუდად ეხმარება საშენი მასალებითა და მექანიზმებით № 6 ტრესტს. ეს მართალი არ არის. № 6 ტრესტს 10 ბულდოზერი და 7 ექსკავატორი აქვს, მაშინ როცა გაანგარიშებით საკმარისია მას ჰქონდეს მხოლოდ 3 ბულდოზერი და 3 ექსკავატორი. დამახასიათებელია, რომ ჩვენმა № 5 ტრესტმა, რომელსაც ამდენივე მანქანები აქვს, 1957 წელს მეტი მოცულობის სამუშაო შეასრულა. მეექვსე ტრესტი კარგად იყო უზრუნველყოფილი საშენი მასალებით, მაგრამ ვერ გამოიყენა ისინი.

საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე უფრო მეტად ეხმარებოდნენ მშენებლებს, კონტროლს უწევდნენ იმას, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს.

ამხ. ნ. მ. ჯიბლაძის სიტყვა

საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო! იბრძვიან რა პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1956 წლის 44.500.000 მანეთიდან 1957 წელს 59 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ხოლო არტელების გაუყოფელი ფონდი 10 მილიონი მანეთით გადიდდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს (1956 წ.) პლენუმზე პარტიის რაიონული კომიტეტი სამართლიანად გააკრიტიკეს მეცხოველეობის ჩამორჩენისათვის. ამ კრიტიკიდან რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ საჭირო დასკვნები გააკეთა. ჩვენში მეცხოველეობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

თუ 1956 წლის ოქტომბრამდე რაიონის ბევრი კოლმეურნეობა სრულებით არ მისდევდა მეღორეობას, ამჟამად კოლმეურნეობებში 4.064 ღორია. გარდა ამისა, გასასუქებლად დაყენებულია უკრაინიდან შემოყვანილი მოზარდეული 2.700 სულის რაოდენობით.

1957 წლის ნოემბერში ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა უკრაინიდან შემოიყვანეს გაუმჯობესებული ჯიშის 2.600 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ბევრად გავაუმჯობესოთ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა. შემოყვანილია აგრეთვე 3.000 სულზე მეტი ჯიშიანი ღორი.

რაიონის კოლმეურნეობები ვალდებულებას კისრულობენ წელს საბელმწიფოს ჩააბარონ 500 ტონაზე მეტი ღორის ხორცი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1957 წელს ჩვენ ვერ შევასრულეთ პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის გეგმა. ჯერ კიდევ დაბალია 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე რძის წველადობისა და ხორცის წარმოების მაჩვენებლები. ცალკეულ კოლმეურნეობებში მაღალია პროდუქციის თვითღირებულება.

1957 წელს, მიუხედავად განსაკუთრებით გვალვიანი წელიწადისა, რაიონის კოლმეურნეობებმა დააგროვეს 32 ათასი ტონა უხეში საკვები, ჩადეს 36 ათასი ტონა სილოსი ნაცვლად 1956 წლის 20 ათასი ტონისა. საშუალოდ ერთ ძროხაზე გასულ წელს ჩადებულია 10 ტონა სილოსი, წელს კი ვფიქრობთ სილოსის ჩადება გავაღიდოთ

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ნ. მ. ჯიბლაძის სიტყვის დასასრული

12 ტონამდე თითო ძროხაზე, ამასთან ძირითადად ეს სილოსი სიმინდისა იქნება.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ საანგარიშო მოხსენებაში სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენი რაიონი ბოსტნეულის დაბალი მოსავლის მიღებისათვის. მართლაც, ჰექტარზე სულ ბევრი 77 ცენტნერი ბოსტნეულის მიღება აშკარად არასაკმარისია. ჩვენი რაიონი ქალაქის საგარეუბნოა, და ჩვენ მეტ პასუხისმგებლობას უნდა ვგრძნობდეთ თბილისის მომარაგებისათვის ახალი ბოსტნეულით. პირობას ვაძლევთ ყრილობას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ, გამოვიყენებთ რა რაიონში არსებულ შესაძლებლობებს, მივაღწევთ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების უფრო მაღალი მოსავლის მიღებას.

ამხ. ჯიბლაძე ლაპარაკობს რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობაზე, იმ კოლმეურნეობათა ძვირფას ინიციატივაზე, რომლებიც საკუთარი სახსრებით აშენებენ სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. იგი აყენებს საკითხს რაიონის ელექტროქსელების საქენერგოს სისტემაში ჩართვისა და ლამბალოს სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის განხორციელების შესახებ, ქაფანახჩისა და გიაურარხის სასოფლო საბჭოების მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად არტეზიული ჭების მშენებლობის შესახებ.

რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, აშბობს შემდეგ ამხ. ჯიბლაძე, ცოტა ნაკლი როდია. ჩვენ საკმაოდ ვერ ვაწინაურებთ ქალებს ხელმძღვანელ სამუშაოზე, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში. ჩამორჩენილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაც კოლმეურნეთა შორის.

მარნეულის რაიონული პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განახორციელოს სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ამხ. ა. ა. ბლრციანის სიტყვა

საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო! უდიდესი სიხარულით, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას ახალქალაქის რაიონის კომუნისტები და ყველა მშრომელნი.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სასოფლო - სამეურნეო რაიონი — ახალქალაქის რაიონი 2-3 წლის წინათ ჩამორჩენილად ითვლებოდა. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო მეცხოველეობა. მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 7-8 ცენტნერს არ აღემატებოდა, ხოლო ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა 700 კილოგრამზე ნაკლები იყო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონში მაჩვენებლები წლითიწლობით უმჯობესდება.

ამჟამად წველადობა შეადგენს 1.300-მდე კილოგრამს ნაცვლად 1957 წლის გეგმით გათვალისწინებული 1.047 კილოგრამისა.

პირველი წარმატებანი გვარწმუნებენ, რომ მეცხოველეობის ფერმებში შრომის უფრო სწორი ორგანიზაციის, კარგი კვებისა და მოვლის პირობებში ჩვენს ადგილობრივ ძროხას შეუძლია კიდევ უფრო მეტი რძე მოგვცეს.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდამ შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობებს შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის წინ რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 11.100 ცენტნერი ხორცი, 47.300 ცენტნერი რძე, 1.785 ცენტნერი მატყლი, 1,5 მილიონამდე ცალი კვერცხი.

გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი, მათი დაინტერესება საარტელო წარმოებით, რაც სოფლის მეურნეობის შემდგომი კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობის მთავარი გარანტიაა და ხელს შეუწყობს იმ ამოცანის გადაჭრის დაჩქარებას, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ღრმად უნდა შეისწავლონ ამ ჩამორჩენის მიზეზები და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, კოლმეურნეთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების გზით მიაღწიონ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

გავითვალისწინეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, დავიწმუნდით, რომ 1958 წელს შევძლებთ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 125 ცენტნერი რძე, 20 ცენტნერი ხორცი და 210 კილოგრამი მატყლი. ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა, მაგრამ რაიონის პარტიული ორგანიზაცია დაძლევს მას.

შემდეგ ამხ. ბლრციანი ეხება საბაფხულო საძოვრების განაწილებისა და გამოყენების, კომბინირებული საკვების წარმოების რაციონალური ორგანიზაციის საკითხებს. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ რაიონის კოლმეურნეობებს მწვავედ ესაჭიროებათ ცხენის გუთნები, ვინაიდან, რაიონის ტერიტორიის რთული რელიეფის გამო მანქანა-ტრაქტორთა სადგურს არ ძალუძს აითვისოს მთელი სახნავი ფართობი. რესპუბლიკური მრეწველობა კი ასეთ გუთნებს არ აწარმოებს.

საანგარიშო მოხსენებაში, განაგრძობს ამხ. ბლრციანი, სწორად არის ნათქვამი, რომ ჩვენს რაიონში შეიძლება გადიდდეს კარტოფილის ფართობი. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გავადიდოთ სარწყავი ფართობები ოროჯალარ-გუმბურდოლარის არხის მშენებლობის გზით.

საანგარიშო მოხსენებაში სწორად გაკრიტიკებულია პარტიის რაიკომიც. ჩვენ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ გადავეჩვიეთ ადმინისტრირების ელემენტებს. საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ აღმზრდელობითს მუშაობას.

ახალქალაქის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განახორციელოს XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ამხ. ვ. ი. სეროვის სიტყვა

საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსი

ამხანაგებო! საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარები განვლილ პერიოდში, ისევე როგორც ყოველთვის, ღირსეულად ეწეოდნენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურს. საბჭოთა მესაზღვრეების ძალა საზღვისპირა რაიონების მუშებთან, კოლმეურნეებთან, ყველა მშრომელთან მჭიდრო და განუყრელ კავშირშია. საქართველოს მშრომელებს თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ ეხმარებოდნენ მეომრებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ამასთან უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლებმა ამხ. კვერნაძემ, წითელაძემ, ვარმანიძემ, ცინცაძემ და ბევრმა სხვამ. ასობით კოლმეურნენი, საზღვისპირა რაიონების ახალგაზრდობის წარმომადგენელნი მესაზღვრეებისადმი აქტიური დახმარებისათვის დაჯილდოებული არიან ძვირფასი საჩუქრებით, პრემიებით, საპატიო სიგელებით, ხოლო 50 კაცზე მეტი — მედლით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება ერთსულოვნად მოიწონა ოლქის ჯარების მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ. მეთაურებმა, პოლიტიკურმა ორგანიზებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან სერიოზული დასკვნები გააკეთეს თავიანთი პრაქტიკული მუშაობისათვის. ამ გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ისინი ყველა ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ ამაღლონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, კიდევ უფრო განავითარონ პირადი შემადგენლობის შემოქმედებითი ინიციატივა, სრულყოფენ ქვეგანაყოფებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს, აუმჯობესებენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხს, ზრდიან მომთხოვნელობას მუშაობაში, აძლიერებენ კავშირს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და კოლმეურნეობებთან.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები თავის მხრივ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებენ სამხედრო ნაწილებთან და ქვეგანაყოფებთან, ეხმარებიან მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მეომართა აღზრდაში. უკანასკნელ ხანს ჩვენს ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს ეწვია პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბევრი წარმომადგენელი, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები. მესაზღვრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგის ამხ. დონდუას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივნის ამხ. ახვლედიანის, ლენინური პრემიის ლაურეატის პროფესორ მელიქიშვილის და სხვ. გამოსვლები. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კობახიძე მესაზღვრეების წინაშე გამოვიდა მოხსენებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-9 სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

თავის მხრივ ჯარების პოლიტორგანოები, პარტორგანიზაციები დიდ კულტურულ-საგანმანთლებლო მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში. მოსახლეობისათვის იმართება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტები და ა. შ.

ყოველივე ეს უთუოდ უწყობს ხელს მშრომელებთან მეომრების კავშირის განმტკიცებას და სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერებას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ამ მხრივ უკვე ყველაფერი გავაკეთეთ და რომ ნაკლოვანებები არა გვაქვს. საჭიროა კვლავაც გავაუმჯობესოთ საზღვისპირა რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების, ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია.

ამხანაგებო! ჩვენი ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები საბჭოთა არმიისა და ფლოტის მე-40 წლისთავის იუბილეს დიდი წარმატებებით ხვდებიან. მაგრამ საბჭოთა აღამიანებს არა სჩვევიათ დასჯერდნენ მიღწეულს. თვითეული საბჭოთა პატრიოტი უნდა ითვალისწინებდეს რთულ საერთაშორისო ვითარებას და კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობას, მუდამ იჩენდეს მაღალ სიფხიზლეს.

საბჭოთა მესაზღვრეები არ დაიშურებენ თავიანთ ძალებს, რომ კვლავაც ბეჯითად სრულყონ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, იყონ ფხიზელნი და დისციპლინიანნი, მუდამ მზად ეყონ შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება.

ამხ. ბ. ს. ბუკიას სიტყვა

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

ამხანაგებო! საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მთელი რიგი ახალი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები, აგრეთვე სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები. ყველა მათგანის დანიშნულებაა ავტომატიზაციის უახლესი საშუალებებისა და სხვადასხვა ავტომატური საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების შემუშავება. თავიანთი მუშაობის სათანადო კოორდინაციით ახალი ინსტიტუტები შეძლებენ საესებით კვალიფიციურად გადაწყვიტონ საკითხები წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციისა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე წარმოების ავტომატიზაციის განხორციელებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს მეცნიერების ახალი დარგი — „ტექნიკური კიბერნეტიკა“. „ტექნიკური კიბერნეტიკის“ ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენენ მმართველი მათემატიკური მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ დაადგინონ და დაიცვან ტექნოლოგიური პროცესების ყველაზე ხელსაყრელი და ოპტიმალური რეჟიმები. სწორედ ამ დარგში მუშაობის განხორციელებისათვის შეიქმნა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. აქ უკვე მუშაობს 360-ზე მეტი კაცი. ორიგინალური მმართველი მათემატიკური მანქანების საცდელი ნიმუშების მაკეტების გამოკვლევისა და შექმნის 1957 წლის თემატური გეგმა ინსტიტუტმა წარმატებით შეასრულა.

1957 წელს შემუშავებულ და დამზადებულ იქნა მაკეტები ორი ზონალური მმართველი გამომთვლელი მანქანისა, რომლებიც წარმოადგენენ საბრძმედე პროცესების მართვის მომავალი ავტომატური კომპლექსის პირველ მანქანებს. ორივე გამომთვლელმა მანქანამ წარმატებით გაიარა ლაბორატორიული გამოცდა, ხოლო ერთი მათგანი უკვე დადგმულია ქარხანა „აზოვსტალის“ № 2 ბრძმედზე და სამრეწველო გამოცდას გადის. მეორე მანქანა, რომლის დანიშნულებაა საკერძის გაზების გადინების პროგნოზების მიღება და მისი კერების ლიკვიდაცია, აგრეთვე მომზადებულია ქარხანა „აზოვსტალში“ გასაგზავნად სამრეწველო გამოცდისათვის. ქარხანა „აზოვსტალის“ ბრძმედი გამოცდის ობიექტად არჩეულია იმ მოსაზრებებით, რომ იგი ყველაზე ავტომატიზებულია საბჭოთა კავშირში. თუ გამოცდა წარმატებით დამთავრდა, ჩვენ შევუდგებით ჩვენი მმართველი გამომთვლელი მანქანებით ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედების აღჭურვას.

ინსტიტუტმა შექმნა აგრეთვე მაკეტი ორიგინალური გამომთვლელი მანქანისა ზოგიერთი სადისპეტჩერო განგარიშების ავტომატიზაციისათვის ენერგოსისტემაში. შემდეგში ეს მანქანა განვითარდება და შევა მმართველი მათემატიკური მანქანების კომპლექსში მთელი ენერგეტიკული სისტემის მუშაობის ავტომატური მართვისათვის.

ინსტიტუტი აწარმოებს აგრეთვე მუშაობას, რომელიც მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს მანქანათმშენებელი საწარმოებისათვის. მაგალითად, ბოვების სადნობი პროცესების სამართავი გამომთვლელი მანქანების შექმნა მოგვცემს მნიშვნელოვან ეკონომიას და აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კადრების შერჩევა და სწავლება. იმ დახმარების მეოხებით, რაც ინსტიტუტს გაუწიეს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის საქალაქო კომიტეტმა, ინსტიტუტი წარმატებით დაკომპლექტდა. 90 კაცისაგან შემდგარმა მუშაკთა ჯგუფმა გაიარა ორთვიანი სტაჟირება მოსკოვის მთელ რიგ სპეციალიზებულ ინსტიტუტებში. თანამშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება წარმოებდა ადგილზე სემინარების მოწყობით. ამ ღონისძიებებმა შესაძლებლობა მისცეს ინსტიტუტს არსებობის პირველსავე წელს შეესრულებინა მისთვის დაკისრებული ყველა ამოცანა და მოემზადებინა კადრები მიმდინარე, 1958 წელს მის წინაშე დასახული კიდევ უფრო რთული ამოცანების შესრულებისათვის.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ინსტიტუტის ობიექტების — სალაბორატორიე კორპუსისა და საცდელი წარმოების კაპიტალური მშენებლობა. 1957 წელს მთავარმბილისმშენმა ვერ შეასრულა მოწყობილობის დასამონტაჟებელი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. ამის გამო ინსტიტუტი მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული.

შემდეგ ამხ. ბუკია ეხება ინსტიტუტისათვის კონკრეტული დახმარების გაძლიერების საკითხებს, უმთავრესად კაპიტალური მშენებლობის დარგში. იგი სურვილს გამოთქვამს ამუშავებულ იქნას ახალი ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში შეიქმნას ტექნიკის სახლი. საქართველოს ხელსაწყოთმშენებელთა სახელით იგი პირობას აძლევს ყრილობას, რომ ისინი ვადაზე შეასრულებენ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებას.

სამგორის ველზე

პირველი ფურცელი

ზამთრის სუსხიანი დილაა. სამგორის ველზე გაავებული ქარი ქრის, ქრის გაშმაგებით, მშფოთვარედ ეხეთქება არიმარეს, ჭუდს გვტაცებს, სუნთქვას გვიკრავს.

— აქ ისეთი ქარი იცის, — გვეუბნება ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დ. შარაშიძე, — რომ ეს ჩვენ ნიავად გვეჩვენება.

— რა კარგი ნიავია!.. — ამბობს ფოტორეპორტიორი. ცალი ხელით ჭუდს ვიმაგრებთ. ჩაფიქრებული გავცქერთ მეურნეობის მოტიტვლებულ ფერდობებს, სადაც ვენახისა და ხეხილის ქოროფა ნარგავების მხოლოდ მწკრივები მოჩანს, თვით ნარგავებს შორიდან ვერც კი შეამჩნევთ.

— აქ რა უნდა გადავიღოთ? — ასეთი იყო პირველი კითხვა, რომელიც ჩვენ დაგვებადა... გადავწყვიტეთ გადაგვიღო მეურნეობის მუშები ახალ დარგულ ვაზებთან ჯერ კიდევ ტიტველი ველის ფონზე. დაე ეს იყოს მომავალი აყვავებული მიდამოს, მძლავრი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ისტორიის პირველი ფურცელი.

ახალი ფორმა, ახალი შინაარსი

ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ერთი წელიც არ შესრულებია. იგი 1957 წლის მარტში ჩამოყალიბდა დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბაზაზე. შეიცვალა მეურნეობის ფორმა, შეიცვალა მისი შინაარსიც. კოლმეურნეები მუშები გახდნენ. ახლა მთავარია არა ის, რაც აქ არის, არამედ ისიც, რაც მომავალში იქნება. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ვენახით უნდა გამოირჩეოდეს. ეს იქნება მისი მთავარი დარგი.

მეურნეობის მიწის საერთო ფონდი 5.172 ჰექტარია. აქედან ვენახს დაეთმობა 900 ჰექტარი, ხეხილის ბაღს — 775 ჰექტარი, საფურაჟე მარცვლეულ და სხვა კულტურებს — 500 ჰექტარი.

შარშან მეურნეობამ დავალება წარმატებით შეასრულა. 23,81 ჰექტარზე გაშენა ფილოქსერის გამძლე ვაზის სადედე მეურნეობა, 57,39 ჰექტარზე — ვენახი, 70 ჰექტარზე —ხეხილის ბაღი. მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეშიც გაუსწრო საბჭოთა მეურნეობამ კოლმეურნეობის დროინდელ დონეს. 1957 წელს წინა წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 115 ცენტნერით მეტი კომბოსტო, 111 ცენტნერით მეტი პამიდორი, 3,7 ცენტნერით მეტი სიმინდი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 305 ლიტრით მეტი რძე. მეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 73,6 ტონა რძე ჩააბარა. საშუალოდ ერთ ცხვარზე მიღებულია 3,6 კილოგრამი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,8 კილოგრამისა.

— ჩვენი მეურნეობა, — განაცხადა უფროსმა ზოოტექნიკოსმა გ. ქინქლაძემ, — ამაყობს მოწინავე მწველავით ანა ავალიშვილით. იგი 14 ძროხას უვლის და საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული აქვს 2.500 ლიტრი რძე. ფერმის მოწინავე მუშაკები არიან აგრეთვე თ. თინავლი, დ. თიგიშვილი და სხვ. მეცხოველეობის დარგის მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ წელს გაასუქონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 500 სული ღორი.

მეურნეობის ძირითადი ამოცანაა ახალი ნარგავების გაშენება. ვენახის და ხეხილის ბაღი წელს 200 ჰექტარზე გაშენდება.

ცოცხალი მატიანე

— აი ჩვენი მეურნეობის უხუცესი მუშაკი, — გვეუბნება პარტბიუროს მდივანი გ. გაბათაშვილი, და გვაცნობს მხიარულ მოხუცს ივანე ბიჭოშვილს, რომელსაც რვა ათეული წელი უკან მოუტოვებია და მაინც წარმატებით ასრულებს მეღორის მოვალეობას. იგი მხნედ გამოიყურება. მართალია, ზოგჯერ ღალატობს მეხსიერება, მაგალითად, არ ახსოვს თავისი შთამომავლობის რიცხვი, მაგრამ ბევრი რამ აგონდება ივანეს. იგი ბევრის მომსწრეა. ახსოვს ამ კეთილ მოხუცს ძველი დრო, სოფლის გასაჭირი, მეზობლების შიმშილი და სიღატაკე.

დიდი ლილო ერთ-ერთი ჩამორჩენილი, ღარიბი სოფელი იყო. უძველეს დროში მას არბევდნენ და აწიოკებდნენ ლეკები, ოსმალები, სპარსელები. ძარცვავდნენ, იტაცებდნენ, ხოცავდნენ მოსახლეობას. იმ წყეულ წარსულს მოგვაგონებს ხალხში დღემდე შემონახული ნიშანდობლივი სიტყვები: „თათრიხევი“, „ცოდიანხევი“. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია სოფლის მოსახლეობის ცხოვრებისა და ეპოქის მთელი უკუღმართობა. მაგრამ ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა. ავად მოსაგონარი წარსულის ნათლად წარმოდგენა ივანე პაპასაც უჭირს.

ახლა კი!.. ახლა „თათრიხევი“ თეთრ ხევად იქცა, „ცოდიანხევი“ კი მალე დოვლათისა და სიუხვის ხევად იქცევა.

ლილოში ახლა კულტურის მრავალი კერაა: კულტურის სახლს დიდი ორსართულიანი შენობა უჭირავს; არის საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, საექიმო პუნქტი, საავადმყოფო, რომელსაც 3 ექიმი და 5 ექთანი ემსახურება; მუშათა კოოპერატივი, ბანკი.

მომდინარე წელს მეურნეობის მუშებისა და სპეციალისტებისათვის უნდა აშენდეს 5 ორბინიანი სახლი, კახეთის მთავარი გზატკეცილიდან მეურნეობის ცენტრამდე 6 კილომეტრზე გაყვანილ უნდა იქნას კეთილმოწყობილი გზა, უნდა მოეწყოს წყალსაჭაჩავი, სახერხი ქარხანა, აშენდეს მუშათა სახადილი, პიროტუყვის სადგომები, საწყობები და საწარმოო ხასიათის სხვა შენობები. ყოველივე ამაზე 3,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

წინათ ეს მხოლოდ ოცნება იყო. საბჭოთა ხალხმა ოცნება სინამდვილედ აქცია. ივანე პაპას კი უფლება აქვს არ იმუშაოს, უზრუნველად იცხოვროს და დატკბეს შთამომავლობის ბედნიერებით.

სიცოცხლის წყარო

„აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად“.

ვახუშტი.

ასე იყო ორი საუკუნის წინათ. ასე იყო მას შემდეგაც. და აი საბჭოთა ადამიანის ხელმა დაიმორჩილა ბუნება. მიმართულება შეუცვალა მდინარე ალორს. იგი არხით დაუკავშირა ახლანდელ „თბილისის ზღვას“ და სული ჩაუდგა მზით გადატრუსულ ველებს.

ახლა ზემო სამგორის მაგისტრალურ არხს რომ გასცქერით, გული სიხარულით გეკვსებათ. ეს არხი მაცოცხლებელ ნექტარს ფფენს სამგორის კალთებზე გაშენებულ მეურნეობათა უხვმოსავლიან ფართობებს. ამ არხიდან მოედინება ანკარა წყალი, ჩუხჩუხით რომ მიეკონება ლილოს საბჭოთა მეურნეობის ვენახისა და ხეხილის ბაღისაკენ.

ახლაც, ზამთრის სუსხიან დღეებშიც, სიყვარულითა და მზრუნველობით რწყავენ მუშები ვაზისა და ხეხილის ნარგავებს.

— წინათ, — ამბობს ამხ. დ. შარაშიძე, — გლეხები ნარგავებს ზამთარში არ რწყავდნენ, ეშინოდათ, მცენარე გაიყინებოდა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩვენს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზამთარში ვენახებისა და ხეხილის ბაღების მორწყვას, რაც ნიადაგში ტენის დაგროვების საუკეთესო საშუალებაა.

ამ მეთოდის გამოყენებით მეურნეობა თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. უკვე გაშენებულია მრავალი ჯიშის ვაზი: განჯური, შავთითა, შავი ბუდეშური, ხალილი, რქაწითელი, გორული, შასლა, ჩინური და სხვ. ხეხილის ბაღს დაამშვენებს ვაშლის ჯიშები: კეხურა, ზამთრის ოქროს პარმენი, კალვილი, შამპანური რენეტი, მსხალი, ატაში, ბალი და სხვ.

და ასე იფურჩქნება ახალი საბჭოთა მეურნეობა.

... წინათ ლილოში არ იყო წყალი, არ იყო ვენახი, არ იყო ხილი. ახლა წყალიც არის, ვენახიც და ხეხილიც.

ხვალინდელი დღე

რამდენჯერ უნატრიათ თბილისელ მოქალაქეებს მწვანით მოსილი ენახათ სამგორის ველი. ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ხომ თბილისის მისადგომებთან არის გაშენებული. თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრები პირველ შთაბეჭდილებას სწორედ აქ იღებენ...

აი რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვითა და საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ლილოელი მუშები სიყვარულით შენებულ მეურნეობათა უხვმოსავლიან ფართობებს. ამ არხიდან მოედინება ანკარა წყალი, ჩუხჩუხით რომ მიეკონება ლილოს საბჭოთა მეურნეობის ვენახისა და ხეხილის ბაღისაკენ.



ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ვაზისა და ხეხილის ნარგავების მორწყვა და კოკლების შესწორება. სურათზე: წინა პლანზე (მარცხნიდან მარჯვნივ) მეურნეობის დირექტორი დ. შარაშიძე და მუშა ა. გაბათაშვილი.

ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მეურნეობის უფროსი ზოოტექნიკოსი გ. ქინქლაძე და მოწინავე მწველავი თ. თინამშვილი.

აშენებენ ახალ საბჭოთა მეურნეობას. კიდევ ერთი წელი, და ეს მიდამო თვალწარმტაცი მწვანით შეიმოსება. კიდევ რამდენიმე წელი, და ეს მეურნეობა დედაქალაქს ყოველწლიურად მისცემს 6.300 ტონა ყურძენს, 4.646 ტონა ხილს.

სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მეტი ყურადღება მიაქციოს ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წყლით უზრუნველყოფას, ხოლო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ახალი საბჭოთა მეურნეობის კეთილმოწყობას.

ა. ჩავლეიშვილი.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია

პეკინი, (საკადესი). 1 თებერვალს დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრებითა და მემარჯვენე ბურჟუაზიულ ელემენტებზე გამარჯვებით, შეიკრიბა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია.

დეპუტატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მაო ძე-დუნს, ჯუ დეს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაისა და კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს.

დაამტკიცეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი: 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი (მომხსენებელი — სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ლი სიან-ნიანი); სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის პროექტი (მომხსენებელი — სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ბო ი-ბო); სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პინ ჯენის მოხსენება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მუშაობის შესახებ; ჩინური დამწერლობის რეფორმის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის უ იუი-ჯანის მოხსენება ჩინური ენის ფონეტიკური ანბანის შესახებ.

შემდეგ სესიის მონაწილეებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება. მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 16 კაცი მემარჯვენე ელემენტთაგან, რომლებმაც დაარღვიეს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, ამომრჩევლებმა უკანვე გაიწვიეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებიდან. კომისიამ განიხილა პროვინციათა და ქალაქთა სახალხო კომიტეტების წარდგინებანი, რომლებიც შეიცავს მოთხოვნას, რომ უკანვე გაწვეული ან თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას სხვა 38 კაცი მემარჯვენე ელემენტთაგან, მათ შორის ჯან ნი-ცი, ჯან ბო-ძიუნი, ლო ლუნ-ძი, ჩენ მინ-შუ, ფეი სიაოტუნი, ჩუ ან-პინი, დინ ლინი, სე სიუეხუნი, ხუან ცი-სიანი და ლუნ იუნი. ეს წარდგინებანი გაკეთებული იყო სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. აღნიშნულ გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ ამ მემარჯვენე ელემენტებმა თავიანთი ანტიკომუნისტური, ანტიხალხური და ანტისოციალისტური პოზიციათა და მოქმედებით უღალატეს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს და დაკარგეს სახალხო დეპუტატობის უფლება.

სამანდატო კომისიას მიაჩნია, რომ კანონის მიხედვით ამ მემარჯვენე ელემენტებს აღარ აქვთ იურიდიული უფლება ითვლებოდნენ სახალხო დეპუტატებად. ამასთან დაკავშირებით კომისიამ სთხოვა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიას ჩამოართვას ხსენებულ 38 პირს ახლანდელ სესიაზე დასწრების უფლება.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვა მიეცა სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეს, ფინანსთა მინისტრს ლი სიან-ნიანს.

წინასწარი გამოანგარიშების თანახმად, ამბობს მომხსენებელი, ბიუჯეტის შემოსავალი გასულ წელს გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი აღმოჩნდა და შეადგენს 30,7 მილიარდ იუანს, რაც შეეხება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, იგი შეადგენს 30,5 მილიარდ იუანს.

შეეხო რა მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტს, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ 1958 წელი აღინიშნება მეორე ხუთწლედის დაწყებით. „ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება მალე რომ გადავაქციოთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც ექნება თანამედროვე მრეწველობა, თანამედროვე სოფლის მეურნეობა და თანამედროვე მეცნიერება და კულტურა, — განაცხადა ლი სიან-ნიანმა, — ჩვენი ხალხი შეუნელებელ ღონისძიებებს ხმარობს, თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტური მშენებლობის განვითარების კურსს პრინციპით „ბევრი, სწრაფად, კარგად და მომჭირნეობით“, იბრძვის იმისათვის, რომ შემდგომი 15 წლის განმავლობაში ან რამდენწლიმე მეტ ვადაში დაეწიოს ან გაუსწოროს ინგლისს ფოლადის და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ, იბრძვის იმისათვის, რომ ვადამდე განახორციელოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ძირითადი დებულებანი, აგრეთვე იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე უმნიშვნელოვანეს დარგებში არც თუ ძალიან ხანგრძლივი ვადის მანძილზე მიუახლოვდეს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე დონეს ან მიაღწიოს ამ დონეს“.

ამ ამოცანების განხორციელებას, განაგრძო მომხსენებელმა, ხელს უწყობს ახლანდელი საერთაშორისო ვითარება. დღითიდღე იზრდებიან და მტკიცდებიან სოციალისტური ქვეყნების ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები, საერთაშორისო ძალები, რომლებიც მშვიდობის დაცვისათვის მოქმედებენ.

სავსებით აშკარაა ხაზგასმით აღნიშნა ლი სიან-ნიანმა, რომ რაც უფრო ადრე ავაშენებთ სოციალიზმს, მით უფრო მეტ წვლილს შევიტანთ მშვიდობის საქმეში.

1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საწარმოო ხასიათის ხარჯებისათვის ასიგნებათა მაქსიმალური გადიდების, კაპიტალური მშენებლობის ენერგიული განვითარებისა და სოფლის მეურნეობისთვის ყოველნაირი დახმარების ბიუჯეტია. ბიუჯეტის პროექტით შემოსავალი გათვალისწინებულია 33,63 მილიარდი იუანის ოდენობით, გასავალი — 33,63 მილიარდი იუანის ოდენობით. ამრიგად 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებთან შედარებით შემოსავალი დიდდება 7,27 პროცენტით, გასავალი — 7,81 პროცენტით.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი ორგანოების აქტივობის გაძლიერების საკითხს.

შემდეგ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. პინ ჯენმა.

პეკინი, 3 თებერვალი. (საკადესი). დღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე, სახელმწიფო ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარე ბო ი-ბო. მან დეპუტატებს მოახსენა 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის პროექტის შესახებ.

წინასწარი მონაცემებით, თქვა მომხსენებელმა, გასულ წელს კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა შეადგენდა 12.370 მილიონ იუანს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საგეგმო ციფრს. 1957 წელს გრძელდებოდა ან დაიწყო 642 ლიმიტგარეშე სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, დამთავრდა 178 ლიმიტგარეშე საწარმოს მშენებლობა, ე. ი. მეტისა, ვიდრე პირველი ხუთწლედის რომელიმე სხვა წელს. 1957 წლის მანძილზე თითქმის ყოველ მეორე დღეს მწყობრში დგებოდა ახალი დიდი საწარმო.

ამის შედეგად ჩინეთს შეუძლია ახლა მეტად, ვიდრე წინათ, უზრუნველყოს თავისი თავი ხარისხოვანი და ღეგირებული ფოლადით, ალუმინით, შექმნილია ქიმიური მრეწველობის თანამედროვე კომპლექსური ბაზა.

1957 წელს, განაცხადა ბო ი-ბომ, მრეწველობამ მოგვცა 62.810 მილიონი იუანის ანუ 6,9 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წელს. მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა.

სოფლის მეურნეობის დარგში, წინასწარი მონაცემებით, მარცვლეულის მოსავალი 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 5 მილიარდი ძინით (ძინი უდრის 0,5 კილოგრამს) და მიაღწია 370 მილიარდ ძინს, ბამბის მოსავალი — დაახლოებით 3.900 ათასი დანით (დანი უდრის 50 კილოგრამს) და მიაღწია 32.800 ათას დანს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ მიაღწია 60.350 მილიონ იუანს და 1956 წელთან შედარებით გაიზარდა 3,5 პროცენტით.

ტრანსპორტის, ვაჭრობის, კულტურისა და განათლების დარგში დასახული გეგმები აგრეთვე გადაჭარბებით შესრულდა.

1957 წელს სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარების შედეგად, თქვა ბო ი-ბომ, ჩვენი ქვეყნის პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა.

ბო ი-ბომ დაწვრილებით განმარტა 1958 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმისა და წარმოების გეგმების ძირითადი დავალებანი. წელს კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა შეადგენს 14.577 მილიონ იუანს, რაც 1957 წლის წინასწარ მონაცემებთან შედარებით 17,8 პროცენტით მეტია. წელს დაგეგმილია გაგრძელდეს ან დაიწყოს 1.185 ლიმიტგარეშე ობიექტის მშენებლობა, რომელთაგან 188 ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაეცემა უკვე მომდინარე წელს. ამრიგად, საშუალოდ ყოველ 46 საათში მწყობრში ჩადგება ახალი დიდი ქარხანა ან ფაბრიკა, დიდი შახტი ან მაღარო. სოფლის, ხეტყისა და წყალთა მეურნეობის დარგში აშენდება 185 ობიექტი.

1958 წლის გეგმის თანახმად მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ უნდა შეადგინოს 64.370 მილიონი იუანი. ეს ციფრი მიღებულია იმ გაანგარიშების შედეგად, რაც მოხდა 1957 წლის უცვლელ ფასებში, რომლებიც მომდინარე წლიდან შემოღებულია და ითვალისწინებს მძიმე მრეწველობის პროდუქციის მეტი ნაწილის ფასების შემცირებას. 1958 წელს მრეწველობის პროდუქციის მთლიანი ღირებულება, თუ გამოვიანგარიშებთ 1952 წლის უცვლელი ფასებით, უნდა გამოიხატოს 71.960 მილიონი იუანით — 14,6 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

წარმოების ზრდის შედარებით მაღალი ტემპი შენარჩუნებულ იქნება მძიმე მრეწველობის ყველა დარგში. ფოლადის წარმოება განზრახულია 6.248 ათასი ტონა (ზრდა 19,2 პროცენტით 1957 წელთან შედარებით); ელექტროენერგიისა — 22,45 მილიარდი კილოვატსაათი (ზრდა 18 პროცენტით); ქვანახშირის ამოღება — 150.724 ათასი ტონა (ზრდა 17,2 პროცენტი). ხე-ტყის მასალების დამზადება და ცემენტის წარმოება 1957 წელთან შედარებით შესაბამისად გაიზრდება 9,4 და 14,5 პროცენტით.

გეგმით გათვალისწინებულია, რომ მარტო ცენტრალური დაქვემდებარების საწარმოებში წელს გამოშვებულ იქნება 372 სახეობის ახალი პროდუქცია, მათ შორის მაღალი წნევის კომპრესორები, 50 ათასი კილოვატი სიმძლავრის კომპლექტური ელექტროგენერატორული მოწყობილობა, 72,5 ათასი კილოვატი სიმძლავრის კომპლექტური ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობა, 1.513 კუბური მეტრი მოცულობის ბრძმედები, დიდი საგლინავი დგანები, 54 ცხენძალის სიმძლავრის შუხლუხა ტრაქტორები, 13.000 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის სატვირთო გემები, ელექტრო-საანგარიშო მანქანები, სატელევიზიო გადამცემები და მიმღებები, სინთეზური ბოჭკო და სხვ.

1958 წლის გეგმით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულება შეადგენს 68.830 მილიონ იუანს. ეს ციფრი შედგენილია იმ გაანგარიშების შედეგად, რაც წარმოებულია 1957 წლის უცვლელ ფასებში, რომლებიც შემოღებულია მომდინარე წლიდან და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილის ფასების გადიდებას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულება, თუ გამოვიანგარიშებთ 1952 წლის უცვლელი ფასებით, უნდა გამოიხატოს 64,25 მილიარდი იუანით, ე. ი. 6,1 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

მარცვლეული კულტურების მოსავალმა უნდა მიაღწიოს 392 მილიარდ ძინს (გადიდება 5,9 პროცენტით 1957 წელთან შედარებით), ბამბისა — 35 მილიონ დანს (გადიდება 6,7 პროცენტით). წინა წელთან შედარებით გადიდდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავალი. გაიზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა.

„ფოლადის ფრთებზე“

«НА СТАПЬНЫХ КРЫЛЬЯХ»

ამ სათაურით გაზეთ „სოვეტსკაია ავიაციაში“ რუბრიკით „უკანასკნელი ფოსტიდან“ კაპიტანი ა. მეშკოვი წერს:

„საბრძოლო საქმეებით ისახელა თავი სამამულო ომის წლებში მამაცმა მოიერიშე მფრინავმა ოთარ გრიგოლის-ძე ჩიჩელაშვილმა. მან მოახდინა 326 საბრძოლო გაფრენა, რომელთა დროს დარტყმებს აყენებდა მტრის ობიექტებსა და ცოცხალ ძალას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს უშიშარი მფრინავის საგმირო საქმეებს. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომისშემდგომ წლებში ოფიცერი ჩიჩელაშვილი 1-ლი კლასის სამხედრო მფრინავი გახდა, ბევრი ახალგაზრდა ავიატორი აღზარდა.

აწყამად თადარიგის პოდპოლკოვნიკი ჩიჩელაშვილი თავის საფრონტო მოგონებათა წიგნზე მუშაობს. იგი წერს თავისი ავიანაწილის საბრძოლო გზის, თანამოლეკელთა მაღალი მპადრული ოსტატობისა და ხაომარი საგმირო საქმეების შესახებ, წერს მათს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე დედასამშობლოსადმი.

რესპუბლიკურმა გაზეთმა „კომუნისტმა“ (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო) ამ დღეებში გამოაქვეყნა სპეციალური გვერდი რუბრიკით „საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 წლისთავის შესახვედრად“. იქ დაბეჭდილია ნაწყვეტი ო. ჩიჩელაშვილის საფრონტო მოგონებებიდან „ფოლადის ფრთებზე“.

საჰაერო ბრძოლების ძნელ წუთებში, წერს ავტორი, საბჭოთა მფრინავები თავიანთი სიცოცხლის დაუზოგავად იხსნიდნენ ხოლმე უბედურებებისაგან თავიანთ თანამებრძოლებს. თვით ამხ. ჩიჩელაშვილი, რომელიც ესკადრილიის მეთაური იყო, დაჯდა მტრის ტერიტორიაზე თავისი თანაპოლკელი ზოლოტუხინის დაზიანებული თვითმფრინავის გვერდით და წამოიყვანა მისი ეკიპაჟი სახტად დარჩენილი ფაშისტების თვალწინ.

ეს მასალები მეომარი ავიატორების საგმირო საქმეებზე, რაც გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა, მკითხველებს უნერგავენ სიყვარულს საბჭოთა სამშობლოს მამაცი დამცველებისადმი“.

როცა მდინარე ადიდდა...

შოფერი ლუკიანენკო თვითსაცლელი მანქანით მდინარეში გადიოდა. მოულოდნელად მანქანამ შუაგზაზე ბუქსობა დაიწყო, მოტორი ჩაქრა. ძრავას ხელახლა ამუშავება არ ხერხდებოდა.

წყალი კი მატულობდა: წინადღეს მთებში დიდი წვიმები იყო. წვიმების შედეგად კავკასიის შავი ზღვისპირა მდინარეები ადიდდებიან, ბობოქარი და საშიში ხდებიან ხოლმე.

— გავცუროთ ნაპირამდე, — უთხრა ლუკიანენკომ მანქანის კაბინში მჯდომ მუშა ლოკიანს, — მივიდეთ სოფელში, ვთხოვოთ ტრაქტორი და ამოვიყვანოთ მანქანა.

— ცურვა რომ არ ვიცი, მეშინია, დავიხრჩობი. შენ წადი, — უპასუხა ლოკიანმა და თვითსაცლელის ძარაში გადავიდა.

აქედან ის ხელავდა, როგორ მიაღწია ნაპირს ლუკიანენკომ და წავიდა დაბისაკენ. დრო მიდიოდა. ბნელდებოდა. მდინარე ბობოქრობდა. ტალღები უკვე ძარის ბორტზე ვადადიოდნენ.

— მიშველეთ, მიშველეთ! — დაიწყო ძახილი ლოკიანმა.

მისი ხმა გაიგონა ნაპირზე შემთხვევით მყოფმა მფრინავმა ლეიტენანტმა სამსონიამ. იგი არც დაფიქრებულა, ტანსაცმელი გაიხადა და წყალში შეცურდა. მაგრამ მანქანამდე მისვლა ძნელი შეიქნა.

— მაგრად იყავი, მალე დავბრუნდები! — დაუძახა მან ლოკიანს და ავიადაბისაკენ გაიქცა.

ოფიცერი სხვა მეომრებთან ერთად მალე დაბრუნდა მანქანით და თან მოიტანა მაშველი ჟილეტი, გასაბერავი ნავი და მაგარი ზონარი.

ამჯერად მოქმედება უფრო ადვილი იყო. და აი ნაპირზე შეკრებილმა მეომრებმა ამოიყვანეს ლეიტენანტი სამსონია და მის მიერ გადარჩენილი საბჭოთა მეურნეობის მუშა ლოკიანი. ორივე მიიყვანეს ავიადაბაში, სადაც მათ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მეომრის თავდადებული საქციელი აღნიშნა ნაწილის მეთაურმა. მან მადლობა გამოუცხადა ოფიცერ სამსონიას. ეს პირველი წახალისება როდია, რომელიც კომკავშირელმა მფრინავმა მიიღო.

კაპიტანი ვ. სოლდატოვი.

გაზეთ „სოვეტსკაია ავიაცია“.

* * *

სურათზე: მუშა კ. ლოკიანი მადლობას უხდის კომკავშირელ ლეიტენანტ მ. სამსონიას.

ფოტო ე. ბელეშოვისა.

მზის ორი დაბნელება 1958 წელს

მომდინარე 1958 წელს ორჯერ მოხდება მზის დაბნელება — 19 აპრილსა და 12 ოქტომბერს. ორივე დაბნელება ცენტრალურია, ე. ი. ორივე შემთხვევაში მთვარის ჩრდილის კონუსის ღერძი მოხვდება დედამიწის ზედაპირზე.

მზის პირველი დაბნელება მოხდება მალე მას შემდეგ, რაც მთვარე გაივლის აპოგეას, ისე რომ მთვარის ჩრდილის ბოლო არ მიაღწევს დედამიწის ზედაპირს და დაბნელება რკალური იქნება. მეორე დაბნელება მოხდება მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე, სანამ მთვარე გაივლიდეს პერიგეას, და მზის დაბნელება სრული იქნება.

როგორც ნაწილობრივი, მზის დაბნელება 19 აპრილს გამოჩნდება სსრ კავშირში — აღმოსავლეთ ციმბირსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. მისი დანახვა შეიძლება აგრეთვე ჩინეთსა და სამხრეთ აზიაში. (საკადესი).

ქართული საცირკო კოლექტივი

თბილისის ცირკში წარმოუბს მოსამზადებელი მუშაობა ქართული საცირკო კოლექტივის შესაქმნელად.

კოლექტივის პროგრამაში წარმოდგენილი იქნება საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრი.

განახლებული ნომრებით გამოვლენ ცირკის ცნობილი ოსტატები: რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ცხომელიძე, ეკვილიბრისტები თავისუფლად მდგომ კიბეებზე გოლიაძეები, ტურნისტების ჯგუფი მ. აღდგომელაშვილის ხელმძღვანელობით. ახალ ორიგინალურ ნომერს — ეკვილიბრს თავისუფლად მბრუნავ მავთულზე — ამზადებს მსახიობი მ. ლალაშვილი.

ქართულ კოლექტივში მონაწილეობენ მთელი რიგი ახალგაზრდა შემსრულებლები — მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეები და სპორტის ოსტატები. მათთან მიმდინარეობს მუშაობა ახალი ნომრების მოსამზადებლად. წარმოდგენის პროგრამაში შეყვანილია აგრეთვე ქართველ მოცეკვავეთა და აკრობატთა ჯგუფი.

ქართული კოლექტივის პირველი პროგრამის რეჟისორ-დამდგმელები არიან თბილისის ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი ი. ყანჩელი და რეჟისორი ვ. მირონოვი.

(ჟურნალი „სოვეტსკი ცირკ“).

„ჩემი ნოგათი“

საბლიტგამმა გამოსცა პოეტ **ხუტა ბერულავას** სბაკაშვი ლექსებისა და პოემების წიგნი „ჩემი ნობათი“. კრებული შედგება ორი განყოფილებისაგან: პირველში მოთავსებულია უმცროსი ასაკის ბავშვებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, ხოლო მეორეში — უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ლექსები.

წიგნის რედაქტორია ვალენტინა ძიძიგური, მხატვრობა შესრულებულია გ. თოთიბაძისა და ვ. გიორგობიანის მიერ. ტირაჟი 14.000. ფასი 3 მან.

სსრ კავშირის ალპინისტებს — ოქროს მედლები

მოსკოვი. 4 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). სსრ კავშირის ალპინიზმის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის გადაწყვეტილებით 1957 წლის სასპორტო სეზონის ტრავერსებში საუკეთესოდ იქნა აღიარებული და პირველადგილი მიეკუთვნა დარვაზის ქედის (პამირი) ტრავერსს, რომელიც საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა განახორციელა.

ტრავერსის მონაწილენი სპორტის ოსტატის ჯ. მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით დაჯილდოებული არიან ოქროს მედლებით და საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით, ექსპედიციის ხელმძღვანელები და მწვრთნელები — ო. გიგინეიშვილი და ა. ივანიშვილი — პირველი ხარისხის დიპლომებით, მაშველი ჯგუფის წევრები სპორტის ოსტატის დ. ობოლაძის ხელმძღვანელობით — სიგელებით.

საქართველოს ალპური კლუბი დაჯილდოებულია ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით და ე. აბალაკოვის სახელობის გარდამავალი პრიზით.

სსრ კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატი

რიგა. 4 თებერვალი. (სპეც. კორ.). XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ფინიშთან ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო მე-13 ტური.

გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც დამარცხება არ განუცდია. მე-13 ტურში მან ყაიმით დამთავრა შეჯვედრა ნ. კროგიუსთან. ს. ფურმანი თანაბარ ენდშპილში ძლიერ ცენტრალურში მოჭყვა, დაუშვა შეცდომა და წააგო პარტია ა. ბანიკთან.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ა. გიპსლისსა და ბ. გურგენიძის პარტია, რომელიც გადადებულია ბ. გურგენიძისთვის მოსაგებ მდგომარეობაში. მ. ტალ ზედმეტი პაიკი აქვს მ. ტაიმანოვთან, დ. ბრონშტეინს უკეთესი მდგომარეობა აქვს ი. ბოლესლავსკის თან, ხოლო ბ. სპასკის — ა. სუეტინთან. დანარჩენი პარტიები გადადებულია გურკვეულ მდგომარეობაში.

კობა წაქაძის რეკორდი

ლენინგრადის ახლოს, კავგოლოვოში მოეწყო უძლიერესთა საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. ასპარეზობაში მონაწილეთა შორის ოსტატ-ბაკურიანელი სპორტსმენი კ. წაქაძე. შეხვედრებში გაიმარჯვა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა 20 წლის არმიელმა მეთხილამურემ რ. ბიკოვმა, რომელმაც 221,5 ქულა შეაგროვა.

კობა წაქაძემ ამ შეჯიბრებაში დააყარა ტრამპლინის რეკორდი. იგი გადახტა 74,5 მეტრზე.

მწერალთა კავშირში

დღეს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში პოეტების სექცია აწყობს წინასადეკადო ლიტერატურულ საღამოს, სადაც ქართველი პოეტები წაიკითხავენ თავიანთ ახალ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს.

დასწრება თავისუფალია.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ლერწამი ქარში, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **სომხური დრამის** — კამო, **მუსიკალური კომედიის** — კომბლე.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — შემთხვევა № 8 მაღაროში, **ამირანი, სტუდენტი, ყაზბეგი** — ოქროს გულისათვის, **სპარტაკი** — მოცარტი, **თბილისი** — ჯუზეპე ვერდი, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ოთარაანთ ქვრივი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ცენტრალური კულტურის სახლი** — დიდი და პატარა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე** — მისი ცხოვრების მიზანი, **საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, დიდუბე** — მეორე ცოლი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) მე შევხვდი ქალიშვილს.

ი. ჭავჭავაძის სახელობის მედმუშაკთა კულტურის სახლში

(რუსთაველის პროსპ. № 2)

ა. წ. 8 თებერვალს საღამოს 7 საათზე მოწვეულია მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური V კონფერენცია.

დღის წესრიგი

1. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი გ. შ. იმნაიშვილი).
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი შ. რ. ხუნდაძე).
3. არჩევნები:

ა) მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რეპუბლიკური კომიტეტისა, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) მედიცინის მუშაკთა პროფესიულ კავშირის V ყრილობის დელეგატებისა, დ) პროფკავშირთა საქართველოს პირველი რესპუბლიკური საკავშირთაშორისო ყრილობის დელეგატებისა.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

წალენჯიხის რაიონის მონადირეთა საზოგადოება

აცხადებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელთა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ 1958 წლის 1 იანვრიდან წალენჯიხის რაიონის მონადირეთა საზოგადოება ლიკვიდირებულია.

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება მ. წ. 1 მარტამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ იქნება მიღებული.

ლიკვიდკომი

მეუღლე სოფიო ლაზრიშვილი, შვილი თეიმურაზ, დები იულია, სიმა, სიძეები ვ. ვერულაშვილი, ლ. რუხაძე ოჯახებით; ბარბალე ლაზრიშვილი ოჯახით იუწყებიან

შალვა ზოტიკის-ძე ჩიქვილაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. თარხნიშვილის ჩიხი № 11.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან

ოლღა პორფილეს ასულ შარაშენიძის

გარდაცვალებას.

მეუღლე ჟენია, შვილი თამაზ, დები მანია, თამარ, ტატიანა, სიძეები ნ. ქოიავა, ა. მიქაძე ოჯახებით იუწყებიან

მიხეილ მალაქიას-ძე ქოიავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II. 8 ს. გამოსვენება 9-II, 3 ს. ბოჭორიშვილის ქ. № 43.

თბილწყალსადენის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

ოლღა პორფილეს ასულ შარაშენიძის

გარდაცვალებას.

მშობლები ბაბალე, არსენ, მეუღლე ლოლა, შვილები ციალა, თენგიზ, დები მერი, ნინო ოჯახებით იუწყებიან

სერგო არსენის-ძე მოწონელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 3 ს. 5 დეკემბრის ქ. № 52.

შვილები დომენტი, შალვა, ელენე, ვლადიმერ, გიორგი, რძლები ვალენტინა, ტონია, მარგალიტა, ქსენია, ასიანე რუხაძეები ოჯახებით, სიძე ჯ. კოპალეიშვილი იუწყებიან

მინადორა ვასილის ასულ ქავზინაძე-რუხაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 3 ს. მესხიშვილის ქ. № 31.

დედა მარიამ; დუნია, არტემონ, გრიგოლ, საშა, პიმენ, ნუნუ ყურაშვილები, ცაცუ, გოგოცა, ნინო, სონა, ნათელა, მიხეილ ჩიქოვანები, სერგო, შუქური, ბელა ასათიანები, შ. ვაზიაშვილი, შ. სვანიძე, გ. აბვლედიანი იუწყებიან

ანზორ ვალერიანის-ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-II, ქუთაისში, გამოსვენება შაუმიანის ქ. № 53.

მეუღლე შოთა, შვილი ნუკრი, დედა ელისაბედ, მამა მიხეილ, დები ანა, ლია, ძმა შალვა, სიძე ბ. მიქაძე შვილებით იუწყებიან

თამარ მიხეილის ასულ ბასიაშვილი-ქავთარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-II, 8 ს. გამოსვენება 6-II, 4 ს. ხუდადოვის ქ. № 2.

დედა პაშა, მამა შალვა, დები ნანული, ნათელა; ანა, მარიამ, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან

ციხანა შალვას ასულ ლეჟავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 2 ს. ლუნაჩარსკის ქ. № 8.

შვილები ნინო, ნადია, გიორგი, რძლები ლენა, კესარია, ძმა გალაქტიონ ბუაჩიძე, სიძეები ზ. დოლაბერიძე, ქ. თაბაგარი; როზა, ჯემალ, ჯიმშერ თინათინ, თამარ ოჯახებით იუწყებიან

მინადორა იორდანეს ასულ მალრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-II, სოფ ლეღვაწში (ორჯონიკიძის რ.).

მეუღლე შალვა, შვილი გოდერძი, დედა ნინო, და ლუბა, ძმა სოსო, სიძე ა. ტყეშელაშვილი; შ. დოდაშვილი იუწყებიან

თამარ ალექსანდრეს ასულ ბასილაშვილი-დოდაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-II, 8 ს. გამოსვენება 6-II, 4 ს. პისარევის ქ. № 28.

გაჩდაიცვალა ამხანაგი იმრე ხორვაჯი

ბუდაპეშტი, 3 თებერვალი. (საკადესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 2 თებერვალს ღამით მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უნგრეთის მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე,